საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 29 დეკემბერი , 2011 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 101

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიურ პერსონალსა და თანამშრომლებთან გასაფორმებელი
ხელშეკრულების ფორმების განხილვის შესახებ

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ი" ქვეპუნქტისა და უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. მოწონებულ იქნას ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალსა და თანამშრომლებთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმები, თანახმად № 1, № 2, № 3 დანართებისა.

2. დადგენილება დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.

3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **ე. მესხია**

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს
2011 წლის 29 დეკემბრის № 101 დადგენილების

დანართი № 1

შრომის ხელშეკრულება №
(მოწვეული მასწავლებლის)

ბათუმი რიცხვი, თვე, წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) „ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი“, რომელიც წარმოდგენილია მისი რექტორის - -- სახით, შემდგომში წოდებული როგორც „დამსაქმებელი“ და მეორეს მხრივ მოქალაქე ..... (დაბ.წელი, რიცხვი,თვე) ..... (საცხოვრებელი ადგილი)..... პირადი ნომერი ..... შემდგომში წოდებული როგორც „დასაქმებული“, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე „დამსაქმებელი“ ღებულობს „დასაქმებულს“ სამუშაოზე უნივერსიტეტის **..... ფაკულტეტზე.**

1.2. დასაქმებული საათობრივი ანაზღაურების წესით ახორციელებს აკადემიურ და შემოქმედებით/სამეცნიერო კვლევით საქმიანობას როგორც ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის *სრული პროფესორი / ასოცირებული პროფესორი / ასისტენტ პროფესორი / ემირიტუსი / დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე უფროსი მასწავლებელი / დოქტორის ხარისხის არმქონე მასწავლებელი* ....

(გთხოვთ, გაუსვათ ხაზი)

1.3. მასწავლებლის მოვალეობაში იგულისხმება „დასაქმებული“-ს მიერ უნივერსიტეტში აკადე-მიური და შემოქმედებითი საქმიანობა, მათ შორის სალექციო და სემინარულ მუშაობაში მონაწილეობა სტუდენტებთან _____

1.4. „დასაქმებული“ აცხადებს, რომ მისი კვალიფიკაცია დასტურდება:
ა) უმაღლესი განათლების დიპლომით, ----------
ბ) სამეცნიერო ხარისხით, ----------

2. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

2.1. **„დამსაქმებელს“ უფლება აქვს:**

– მოითხოვოს ანგარიში გაწეული სამუშაოს შესახებ.

– ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ დასაქმებული არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, არ ასრულებს წინამდებარე შრომის ხელშეკრულებისა და უნივერსიტეტში შინაგანაწესის მოთხოვნებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

- ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუკი დასაქმებული არ ცხადდება სამსახურში ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელ მიზეზთა გამო.

2.2. **„დამსაქმებელი“ მოვალეა:**

– უზრუნველყოს „დასაქმებული“ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრუ-ლებისათვის სათანადო პირობებით;

– გადაუხადოს „დასაქმებულს“ შრომის ანაზღაურება უნივერსიტეტის აქტების, ამ ხელშეკრულებისა და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

2.3. **„დასაქმებულს“ უფლება აქვს:**

– მიიღოს შრომის ანაზღაურება შრომის ხელშეკრულებითა და შინაგანაწესით განსაზღვრული ოდენობითა და წესით.

_ მოითხოვოს დამსაქმებლისგან უნივერსიტეტის წესდებით, შინაგანაწესით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულება.

– განახორციელოს საქმიანობა შემოქმედებითი თავისუფლების ფარგლებში;

2.4. **„დასაქმებული“ მოვალეა:**

– კეთილსინდისიერად შეასრულოს სამსახურებრივი მოვალეობა, მათ შორის, მისი უფლებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სსიპ–ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის შინა განაწესის მოთხოვნები.

– დაემორჩილოს „დამსაქმებლის“ მიერ დადგენილ შინაგანაწესს და დაიცვას იგი, რომელიც წარმოადგენს შრომის ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

- დროულად გამოცხადდეს სამსახურში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გამოუცხადებლობა გამოწვეულია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების ან უკიდურესი ოჯახური პირობების გამო. ავადმყოფობის ფაქტი დადასტურებული უნდა იყვეს შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობით

– გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის ქონებას და საჭიროების შემთხვევაში მიიღოს ზომები ზიანის თავიდან ასაცილებლად;

– გამოცხადდეს სამსახურში უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულისათვის განსაზრვრულ სამუშაო საათებში, გარდა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული განსაკუთრებული შემთხვევებისა;

- ხელშეკრულების ფარგლებში მონაწილეობა მიიღოს ძირითად სასწავლო პროცესში. შეავსოს „სტუდენტის დასწრების აღრიცხვისა და შეფასების ჟურნალი“ და „შეფასების უწყისი“, აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი ფორმების შესაბამისად;

– შეასრულოს უნივერსიტეტის სათანადო წესით დამტკიცებული უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა პედაგოგიური დატვირთვის ნორმატივები. **ყოველი თვის 15 რისხვამდე, ან სემესტრის ბოლო თვის 15 რიცხვამდე, სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტში წარადგინოს საათობრივი დატვირთვის შესრულების ცნობა დამოწმებული შესაბამისი ფაკულტეტის დეკანისა და დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ;**

– იმოქმედოს მოქმედი კანონმდებლობით, წინამდებარე ხელშეკრულებითა და უნივერსიტეტის შინაგანაწესისა და ეთიკის კოდექსის შესაბამისად, კეთილსინდისიერად შეასრულოს ნაკისრი მოვალეობები.

3. სამუშაო და დასვენების დრო

3.1. სამუშაო დღის დაწყებისა და დასრულების, ასევე შესვენების დრო განისაზღვრება შრომის შინაგანაწესით, „დასაქმებულის“ ინდივიდუალური დატვირთვითა და ფაკულტეტზე არსებული სამუშაო-სასწავლო ცხრილის შესაბამისად.

3.2. სამუშაოს (სალექციო საათების) განრიგსა და მონაცვლეობას სამუშაო სასწავლო ცხრილის ფარგლებში ადგენს „დამსაქმებელი“, რაც სავალდებულოა შესასრულებლად მასწავლებლისათვის.

3.3. წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისათვის სამუშაო-სასწავლო ცხრილი ნიშნავს ფაკულტეტზე ყოველი სასწავლო სემესტრის (ყოველი სასწავლო სესიის) განმავლობაში სალექციო საათების ყოველკვირეულ განრიგს, რომელიც დგება სასწავლო სემესტრის (სესიის) დასაწყისში და რომლის გაცნობისა და შესრულების ვალდებულება გააჩნია „დასაქმებულს“.

4. შრომის ანაზღაურება

4.1. „დასაქმებულს“, მის მიერ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს შესრულებისათვის ეძლევა ანაზღაურება მის მიერ შესრულებული სამუშაოს მოცულობის შესაბამისად, ყოველ ერთ საათზე ..... ლარის ოდენობით.

4.2. მხარეები თანხმდებიან, რომ შრომის ანაზრაურების ოდენობა დამოკიდებულია შესრულე-ბული სამუშაოს მოცულობაზე, და შესაბამისად, „დასაქმებულის“ მიერ შესასრულებელი სამუშაოს შეუსრულებლობის შემთხვევაში „დამსაქმებელს“ უფლება აქვს ანაზღაურებიდან დაქვითოს მისი ნაწილი შეუსრულებელი სამუშაოს პროპორციულად, რაც განისაზღვრება რექტორის ბრძანებით.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1. წინამდებარე ხელშეკრულება იდება **201... წლის .....დან 201..... წლის .....მდე.**

5.2. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით, ან რომელიმე მხარის მიერ შრომის კანონმდებლობის, შინაგანაწესის და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო.

6. დასკვნითი დებულებები

6.1. მხარეები თანხმდებიან, რომ შრომის შინაგანაწესი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. დამსაქმებელს უფლება აქვს შეცვალოს უნივერსიტეტის შინაგანაწესი, ან შეიტანოს ცვლილება და/ან დამატება მასში.

6.2. „დასაქმებული“ ადასტურებს, რომ მისთვის ცნობილია უნივერსიტეტის მოქმედი შინაგანაწესის მოთხოვნები და ღებულობს მისი შესრულება/დაცვის ვალდებულებას.

6.3. მხარეები თანხმდებიან, რომ შინაგანაწესში ცვლილებების და/ან დამატებების შეტანის, ასევე ახალი შინაგანაწესის მიღების შემთხვევაში, იგი გამოქვეყნებული იქნება „დამსაქმებლის“ მიერ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე მისი ძალაში შესვლამდე არაუგვიანეს ერთი კვირით ადრე და ამ ვადის გასვლის შემდეგ იგი გახდება წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი.

6.4. ხელშეკრულების მხარეებს შორის წარმოშობილი დავა წყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6.5. მოცემული ხელშეკრულებითა და შინაგანაწესით გაუთვალისწინებელი პირობების დადგომისას მხარეები ხელმძღვანელობენ მოქმედი კანონმდებლობით.

6.6. ხელშეკრულებაში ყოველგვარი ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

6.7. ხელშეკრულება დგება ორ ცალად, თითოეული მხარისათვის.

„დამსაქმებელი“
„დასაქმებული“
რექტორი

მასწავლებელი

.....

ტელ

_____

სწორია:

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს
2011 წლის 29 დეკემბრის № 101 დადგენილების

დანართი № 2

შ რ ო მ ი თ ი ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

ქ. ბათუმი "-------" ---------- 201 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი: ერთის მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში „დამსაქმებელი" მის. ფიროსმანის №16) წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ... სახით და მეორეს მხრივ ---------- ---------- მცხოვრები- ---------- (შემდგომში „დასაქმებული") ვდებთ შრომით ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. უნივერსიტეტი იწვევს მოქალაქე ---------- სამუშაოდ ---------- ----------თანამდებობაზე ----------დან ----------მდე.
2. მხარეთა უფლება მოვალეობანი:

3. **დამსაქმებელი**

ა) ვალდებულია განუხრელად დაიცვას საქართველოში შრომითი ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმატიული აქტებისა და წინამდებარე ხელშეკრულების მოთხოვნები;
ბ) ვალდებულია უზრუნველყოს დასაქმებული შრომის სათანადო პირობებით; გადაუხადოს შრომის ანაზღაურება იმ ოდენობით, რაც განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებით;
გ) უფლებამოსილია მოსთხოვოს დასაქმებულს სამუშაოს დროული, სრული და ხარისხიანი შესრულება;

დასაქმებული

ა) ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 პუნქტით განსაზღვრული სამუშაო;
ბ) ვალდებულია დაიცვას შრომის დისციპლინა;
გ) ვალდებულია გაუფრთხილდეს დამსაქმებლის ქონებას;
დ) ვალდებულია დაიცვას საქართველოში შრომითი ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების, წინამდებარე ხელშეკრულებისა და დამსაქმებლის შინაგანაწესის მოთხოვნები;
ე) უფლებამოსილია მოსთხოვოს დამსაქმებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დროული და სრული შესრულება;
ვ) თავისი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად მიმართოს სასამართლოს;

4. უნივერსიტეტი ამ ხელშეკრულებით შესრულებული სამუშაოსათვის მოქალაქე ---------- ---------- ყოველთვიურად აუნაზღაურებს ხელფასის სახით ----------ლარს;

5. დამსაქმებელს ან დასაქმებულს შეუძლიათ ვადამდე შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება შემდეგ შემთხვევებში:

ა) დასაქმებული უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება:
- მისი ავადმყოფობის ან ინვალიდობის გამო, რაც აბრკოლებს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებას;
- დამსაქმებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებისა და შრომის კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში;

ბ) დამსაქმებელი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება:
- თუ გამოვლინდა რომ დასაქმებული არ შეესაბამება შესასრულებელ სამუშაოს არასაკმარისი კვა-ლიფიკაციისა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო;

- დასაქმებულის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში;
- დასაქმებულის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არ შესრულების ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში;
- თუ დასაქმებული წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებას განახორციელებს არაფხიზელ მდგომარეობაში;

გ) დამსაქმებელს ან დასაქმებულს შეუძლიათ ვადამდე შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება აგრეთვე იმ შემთხვევაში, რომლებიც პირდაპირ არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკ-რულებით, მაგრამ ასახულია საქართველოს შრომის კანონმდებლობაში;

დ) წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის შემთხვევაში დასაქმებული ვალდებულია დამსაქმებელს დაუყოვნებლივ დაუბრუნოს ნებისმიერი საკუთრების უფლების ობიექტი, რომელიც დასაქმებულის ხელთაა და ეკუთვნის დამსაქმებელს.

6. ხელშეკრულება შედგენილია 2 ცალად და ინახება მხარეებთან.

ხელმოწერა:

დამქირავებლის სახელით -
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ სურვილს დავდო წინამდებარე შრომითი ხელშეკრულება და ვეთანხმები მის პირობებს.

დასაქმებული: ----------

ტელ.:

მობ.:

სწორია:

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს
2011 წლის 29 დეკემბრის № 101 დადგენილების

დანართი № 3

შრომითი ხელშეკრულება №

(აკადემიური პერსონალი)

ქ. ბათუმი **..... ..... 2011 წ.**

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ერთის მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი ,,ბათუმის სასწავლო უნივერსიტეტი“ (ქ. ბათუმი, ფიროსმანის 16), წარმოდგენილი მისი რექტორის ... სახით (შემდგომში “დამსაქმებელი“) და მეორეს მხრივ მოქალაქე ... (შემდგომში ,,დასაქმებული“), დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისათვის ანაზღაურების სანაცვლოდ სამუშაოს შესრულების შესახებ.

1.2. მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებამო-სილების ფარგლებში დასაქმებული ახორციელებს აკადემიურ და შემოქმედებით საქმიანობას ***ასოცირებულ თანამდებობაზე*** ხელოვნების უნივერსიტეტში **მუსიკის** ფაკულტეტზე.

1.3. ხელშეკრულება ძალაშია **2011 წლის 11 იანვრიდან აკადემიურ თანამდებობაზე შემდეგი კონკურსის შედეგების გამოქვეყნებამდე.**

მუხლი 2. დამსაქმებლის უფლება–მოვალეობანი

2.1. დამსაქმებელს უფლება აქვს:

2.1.1. მოსთხოვოს დასაქმებულს უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებისა და წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესრულება;

2.1.2. დააზუსტოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების ცალკეული გარემოებები, რამაც არსებითად არ უნდა შეცვალოს ხელშეკრულების პირობები;

2.1.3. კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში დაავალდებულოს დასაქმებული, რათა მან შეასრულოს ზეგანაკვეთური სამუშაო;

2.1.4. სამუშაოს შესასრულებლად დასაქმებული ძირითადი სამუშაო ადგილიდან მიავლინოს სხვაგან;

2.1.5. კანონმდებლობის ფარგლებში წაახალისოს დასაქმებული ან, პირიქით, უნივერსიტეტის შინა-განაწესისა და წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხევაში გაატაროს მის მიმართ ადმინისტრაციული ზომები;

2.1.6. დაუქვითოს დასაქმებულს არასაპატიო მიზეზით გაცდენილი საათების ღირებულება;

2.2. დამსაქმებელი ვალდებულია:

2.2.1. შეუქმნას დასაქმებულს სასწავლო-აღმზრდელობითი და შემოქმედებითი საქმიანობისათვის შესაფე-რისი სამუშაო პირობები;

2.2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობითა და პირობებით უზრუნველყოს დასაქმებულის შრომის ანაზღაურება;

2.2.3. მუდმივად იზრუნოს სამუშაო პირობების გასაუმჯობესებლად;

2.2.4. შექმნას სათანადო პირობები შემოქმედებითი მუშაობისათვის და დასაქმებულის პროფესიული განვი-თარებისათვის;

2.2.5. უზრუნველყოს დასაქმებულის ჩართვა საუნივერსიტეტო ცხოვრებაში;

2.2.6. საქართველოს შრომის კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შინაგანაწესით განსაზღვრულ შემთხვევებში უზრუნველყოს დასაქმებული ანაზღაურებადი შვებულებით;

მუხლი 3. დასაქმებულის უფლებები და მოვალეობები:

3.1. ***დასაქმებულს უფლება აქვს:***

3.1.1. სამუშაოს შესასრულებლად მოითხოვოს შესაბამისი პირობების შექმნა;

3.1.2. მოითხოვოს და მიიღოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობითა და პირობებით განსაზღვრული შრომის ანაზღაურება;

3.1.3. ისარგებლოს დასვენებისა და უქმე დღეებით, ხოლო სამუშაო დღის განმავლობაში შესვენებით; აგრეთვე ისარგებლოს წინამდებარე ხელშეკრულებით, მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შინაგანა-წესით გათვალისწინებული ყოველწლიური ანაზღაურებადი და უფასო შვებულებებით;

3.2. დასაქმებული ვალდებულია:

3.2.1. შეასრულოს ,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონით, საქართველოს შრომის კანონმდებლობით, დასაქმების ნორმატიული აქტებით, უნივერსიტეტის წესდებით, შინაგანაწესითა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები, დაიცვას უნივერსიტეტის პრესტიჟი და ეთიკის ნორმები;

3.2.2 გაუძღვეს ლაბორატორიულ, სასემინარო ან პრაქტიკულ მეცადინეობებს;

3.2.3. თავისი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობა მიიღოს კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი მოდულის საქმიანობაში, იზრუნოს მისი შემდგომი სრულყოფა-განვითარებისათვის;

3.2.4. აწარმოოს შემოქმედებითი და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა და იზრუნოს პროფესიული დონის ამაღლებისათვის;

3.2.5. მონაწილეობა მიიღოს საუნივერსიტეტო ცხოვრებასა და მართვაში;

3.2.6. მონაწილეობა მიიღოს სწავლების ხარისხის უზრუნველყოფასა და მართვაში;

3.2.8. შეასრულოს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიური დატვირთვის ნორმატივებით განსაზღვრული სააუდიტორიო და არასააუდიტორიო სამუშაო;

3.2.9. დაემორჩილოს უნივერსიტეტის შინაგანაწესსა და შეასრულოს დამსაქმებლის კანონიერი მითითებები;

3.2.10. გაუფრთხილდეს მისთვის დამსაქმებლის მიერ დროებით სარგებლობაში გადაცემულ სამსახურე-ბრივი მოვალეობების შესასრულებლად საჭირო მატერიალურ ფასეულობებს;

3.2.11. დადგენილ ვადაში, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატში წარადგინოს სტუდენტის/მაგისტრის შეფასების უწყისი;

3.2.12. ყოველი თვის 15 რისხვამდე, ან სემესტრის ბოლო თვის 15 რიცხვამდე, სასწავლო პროცესების მართვის სამსახურში წარადგინოს საათობრივი დატვირთვის შესრულების ცნობა დამოწმებული შესაბამისი ფაკულტეტის დეკანისა და დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ;

მუხლი 4. შრომის ანაზღაურება

4.1. დამსაქმებელი დასაქმებულს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებისათვის ... განაკვეთზე გადაუხდის ხელფასს თვეში ლარის ოდენობით;

4.2. დასაქმებულისათვის ხელფასზე დანამატის, პრემიების ან სხვა სახის ფულადი ანაზღაურების პირობები განისაზღვრება შინაგანაწესით;

მუხლი 5. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლები:

5.1. არასაპატიო მიზეზით წინამდებარე ხელშეკრულების 3.2. მუხლით გათვალისწინებული ვალდე-ბულებების შეუსრულებლობა;

5.2. უნივერსიტეტში მოქმედი ხარისხის სტანდარტებისა და ნორმატიული აქტების დარღვევა;

5.3. ნაშრომის ან სტუდენტის ცოდნის განზრახ არაობიექტური შეფასება, რამაც არსებითად ხელყო სტუდე-ნტის უფლებები;

5.4. სილაბუსის შინაარსიდან არსებითი გადახვევა;

5.5. გამორჩენის მიზნით სტუდენტისათვის დამატებითი მომსახურების გაწევა;

5.6. სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ცნობა, ან გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;

5.7. პირადი განცხადება;

5.8. სტუდენტთა საფაკულტეტო მიღების პირობებში კონკურენტუუნარობის გამო მოცემული სპეციალობის დახურვა;

მუხლი 6. დავების გადაწყვეტა:

6.1. მხარეთა შორის სადაო საკითხები მოგვარდება შეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში სასამართლო წესით საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები

7.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად,

რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება დამსაქმებელთან, ხოლო მეორე – დასაქმებულთან.

7.2. ხელმოწერებით მხარეები ადასტურებენ თანხმობას წინმდებარე ხელშეკრულების შინაარსზე.

მხარეთა რეკვიზიტები

“დამსაქმებელი“	**,,დასაქმებული“**
ხელოვნების უნივერსიტეტის	გვარი, სახელი . . . . .
რექტორი, პროფესორი	ხელმოწერა . . . . .
	პირადობის მოწმობის №. . . . .
	ტელეფონი:

სწორია: